თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4128971

ნომერი: AR1622900

თარიღი : 14.08.2018

გაცემის თარიღი : 20.08.2018

გაცნობის თარიღი : 20.08.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა კოჯორი, ბიოლის ქუჩა N1ე; ქალაქი თბილისი , დაბა კოჯორი, ბიოლის ქუჩა N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ სამხარაძე პ/ნ 54001009665
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯორში, ბიოლის ქ. N1, N1თ, N1ე, N1ზ, N1ვ, N1გ, N1ა, N1ი, N1კ, N1ბ, N1დ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო გეგმა/გეგმები): – N 81.02.21.045, N81.02.21.042, N81.02.21.040, N81.02.21.038, N 81.02.21.037, N N81.02.21.036, N81.02.21.033, N81.02.01.901, N81.02.01.898, N 81.02.01.881, N 81.02.01.880, (განაცხადის მდებარეობა რუკაზემონიშნული რეგისტრაციები) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N326 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი და შესაბამისად ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების დროს საჭიროა ყველა სახის ცვლილება განხორციელდეს აღნიშნული პროექტის და ტერიტორიაზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის უფლებრივი რუკის გათვალისწინებით .

ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ზემოაღნიშნული პროექტის შეთანხმების შემდგომ განხორციელდა მიწის ნაკვეთის ფართისა და კონფიგურაციის ცვლილება, N 81.02.21.555 (:81.02.21.547; 81.02.21.045; 81.02.21.545;) რომლის გამოც ამ პროექტით გათვალისწინებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა უნდა განხორვიელდეს ზემოთ აღნიშნული პროექტის ცვლილების გათვალისწინებით.

როგორც ირკვევა თქვენი განმარტების მიხედვით :"საპროექტო ნაგებობა ფუნქციით წარმოადგენს დამხმარე შენობას , რომელიც ტერიტორიაზე განთავსებულია დროებით, გრგ-ით გათვალისწინებული ობიექტებზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დროული და ხარისხიანი წარმოების მიზნით, ტერიტორიაზე დასაქმებული მუშახელის დროებით სამყოფად. განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული ეთნო სახლის პროექტის შეთანხმების პარალელურად, კანონის შესაბამისად მოხდება აღნიშნული ობიექტის დემონტაჟის ნებართვის აღება და შენობის დემონტაჟი." (აღნიშნილის არსებობა სავალდებულოა მშენებლობის ორგანიზების პროექტში გენ– გეგმის მიხედვით , რაც დამკვეთმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე არსებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად) და არ წარმოადგენს სტაციონალურ დამხმარე ნაგებობას , რომელიც „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-16 მუხლის მე-2' პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ქვეზონაში უძრავი ქონების (ობიექტების) გამოყენების ძირითადი ან/და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართული სახეობის ფუნქციონირებისათვის საჭირო დამხმარე შენობა-ნაგებობა რომლის არსებობაც დასაშვებია მხოლოდ მთავარ ობიექტთან ერთად, სამეზობლო თმენისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით.

განგიმარტავთ რომ ასეთი სახის დროებითი სტატუსის ობიექტი არ საჭიროებს დამატებით ნებართვის გაცემას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.